№ 232

ოთხშაბათი, 2 ნოემბერი 1894

გაზეთი ღ[illegible]ს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 232

ოთხშაბათი, 2 ნოემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ი ვ ე რ ი ა“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სატელეგრ. ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ტფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 28 ოქტომბრიდგან, ყოველ საქმის დღეს, ამ დაწესებულებაში მიიღება ხელის მოწერა, რომლის ნებაც უმაღლესად არის ბოძებული. ხელის მოწერით შეიკრიბება ფული, რათა ქ. მოსკოვში მეგლი იქმნას აგებული განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III-სა, „დიდებულის მშვიდობის შემქმნელისა“. (1—უ.—1)

თავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის მომგებიან ფურცელთა სამორიგო ტირაჟი გადაიდო 3 ნოემბრისათვის.

## დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** პირველ ნოემბრისათვის დანიშნული სახელმწიფო სა-

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** „Standard“-ი საშინლადა სწუხს იმ დანაკარგის გამო, რომელიც რუსეთსა და ევროპას ეწია. „Tamps“ სწერს, რომ რუსეთმა და ევროპამ დაჰკარგა ის თვით-მპყრობელი ხელმწიფე, რომლის სახელსაც დიდის მადლობით მოიხსენებენო. იგი აშკარადა ჰგრძნობდა და ეს გრძნობა სამარეში ჩაიყოლა, რომ თავისს მეფობის დროს, მთელს კაცობრიობას სასტიკის საერთო ომისაგან იცავდა. „Daily New“ ამტკიცებს, რომ ხელმწიფის გარდაცვალება სინანულსა და მწუხარებას გამოიწვევს მთელის დედამიწის ზურგზედაო. ‹Daily graphic› სწერს, რომ ალექსანდრე მესამის მეფობამ კეთილად იმოქმედა რუსეთზეო. მისი ძლიერება და შინაური მშვიდობიანობა ისე განმტკიცდა, რომ მთელს რუსეთის ისტორიაში ასე განმტკიცებული არაოდეს არა ყოფილაო.

—

იმ სხვ-და-სხვა აზრის შემდეგ, რომელიც გამოითქვა ინგლისის გაზეთებში ლორდ როზბერის მიერ ბარდფორდს ნათქვამ სიტყვის შესახებ, საყურადღებოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ პარნელისტების და რადიკალების აზრი. „Nineteenth Century“-ში იყო დაბეჭდილი წერილი პარნელისტთა დასის წინამძღოლის ჯონ რედმონდისა, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ სრული წინააღმდეგი ვარ და სასურველად არ მიმაჩნია, ზედა პარლამენტში ის ცვლილებანი იქმნენ შემოღებულიო, რომელსაც მინისტრ-პრეზიდენტი გვირჩევს. აღნიშნავს რა, რომ ლორდთა პარლამენტთან ბრძოლას დიდი დრო და ხანი მოუნდებაო, რედმონდი ამბობს: რა ბედი მოელის ამ ხანში ირლანდიის მოძრაობას ჰომრულის სასარგებლოდ? იგი უკვე გარდაიცვლება და დაიმარხება კიდეც, ვიდრე ლორდთა პარლამენტი თავისს Veto-ს გააუქმებს; ირლანდიის მცხოვრებელნი შემცირდებიან ერთის მილიონით კიდევ და ამით უფრო მიეცემათ საფუძველი, შეამცირონ ირლანდიის წარმომადგენელთა რიცხვი ვესტ-მინისტერში; ამ რიგად ირლანდიის მდგომარეობა უფრო უარესი შეიქმნება, ვიდრე წინედ იყო. ადვილად გამოსაცნობია, რადაც უნდათ ბრიტანიის ლიბერალთა ბრძოლა აუტეხონ ლორდთა-პარლამენტს; მაგრამ ის-კი გაუგებარია ირლანდიის საერო დასის წარმომადგენელნი რაღად უნდა მოიქცნენ ასევე.“ ლაბუშერი ამ რიგად ასურათებს „Truth“-ში თავისს დასისა და მინისტრ პრეზიდენტის უთანხმოებას, ამ საგნის შესახებ. რა გვსურს მართლად ჩვენ რადიკალებსა და დემოკრატებს? ჩვენ ისა გვსურს, რომ ერმა ამოირჩიოს თვისი წარმომადგენელნი და რომ ამ წარმომადგენელთ შეეძლოთ უდაოთ გადასწყვიტონ ყოველი აღძრული საგანი, ისე, როგორც იმათ ამომრჩევლების სურვილია. ლორდ როზბერი ამის წინააღმდეგია, რადგან იგი ამას უკანტროლო მმართველობას უწოდებს. მე-კი ამ უკანტროლო მმართველობის მომხრე ვარ, რადგან მსურს, რომ ერი თითონვე იყოს უკანტროლო გამგე თავისის ბედისა. ლორდ როზბერი ლორდთა პარლამენტის წინააღმდეგია, რადგან იგი სხვა დასისაა და ხელს უშლის ლორდ როზბერის დასს: იმას ჰსურს ამ დაწესებულების ნაცვლად სხვა რამ დაბრკოლება შეჰქმნას. ვის წინააღმდეგ? დემოკრატია წინააღმდეგ. მე არას დროს არ დავთანხმდები, რომ ვინმეს,—დანიშნული იქნება იგი ვისგანმე თუ ხმის უმრავლესობით ამორჩეული,—კანონების დადგენის უფლება ჰქონდეს და არა მარტო რჩევა თათბირის უფლება, რომელიც ყოველ ადამიანს აქვს. ჩვენ დიდი ხანია გავაძლიერეთ ამომრჩეველთა უფლება და გვსურს, რომ უფრო მეტად გავაძლიეროთ.

—

**აღმოსავლეთის ომი.** 24 ოქტომბერს პეკინიდგან დეპეშითატყობინებენ სტეფანის სააგენტოს, რომ ჩინეთის მთავრობას ჰსურს მშვიდობიანობა ჩამოაგდოსო. ამასთანავე პირობას აძლევს, რომ კორე თავისუფლი იქმნება და რაც ომიანობის დროს ხარჯი მოუვიდა, იმასაც გადაუხდითო. ამ ხარჯის რაოდენობაკი სხვა სახელმწიფოთ უნდა გამოიანგარიშონ. ჩინეთი შუამდგომლობას სთხოვს იმ სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომელნიც მოისურვებენ ეს წინადადებანი წარუდგინონ იაპონელებსაო.

—

**ბულგარია.** საერო საკრებულოს საპასუხო ადრესის შინაარსი, რომელიც პრინცს ფერდინანდს უნდა წარედგინოს, იგივე სეფე-სიტყვაა, მხოლოდ სხვა სიტყვებით გამოთქმული. კარაველისტმა კიტანჩევმა წინადადება მისცა, რომ ამ ადრესში რუსეთთან შერიგების სურვილიც მოე-

## ფელეტონი

—

### ბერავის სიყვარული.

ნინიკა პაპიაშვილს ფრიად გაკეთებული და შეძლე ოჯახი ჰქონდა, ღვთის მოწყალება არა აკლდა-რა და რაც-კი გლეხ-კაცის ოჯახს შეეფერება, ყველაფერი უხვად მოიპოვებოდა იმის სახლში: პური, სიმინდი, ღვინო გამოულეველი, სამი კარგი მწველელი ძროხა, ორი ყვავარი ხარ-კამეჩი და ორი კაი ჯიშის დედა-ღორი, რომელნიც არ აკლებდნენ საშობაო და სააღდგომო საკლავს ნინიკას ჭრელ ფეხობით გამოტენილს ოჯახს. ბატი, ინდოური და ქათამი ხომ იმდენი ჰყავდა ნინიკას დედაკაცს, რომ მთელი სოფლის მანდილოსნებს შურით გული ევსებოდათ, როდესაც დილა-საღამოს ამოდენა ფრინველი ყიყინითა და წივკობით შემოეხვეოდა კალთაში საკენკით გამოსულ რუსუდანს.

ნინიკას მხოლოდ ერთი დიდი დარდი ადგა გულზედ და ეს დარდი სრულიად უკარგავდა იმისთვის ღვთის თვალით სავსე ოჯახს მნიშვნელობას; ეს დარდი ის იყო, რომ ნინიკას ვაჟიშვილი არა ჰყავდა და ექვსი ტალიკტალიკი გოგო, ერთიერთმანეთზედ უკეთესი თუ სილამაზით, თუ წარმოსადეგობით, თუ ვაჟკაცურის სიმხნევით, ჩალადაც არ მიაჩნდა იმას და ყოველ დღე სასოებით შესთხოვდა უფალს მემკვიდრის ჩუქებას: „ქალი სხვის ლუკმაა, გათხოვდება, წავა და კერაზედ ცეცხლი გამიქრებაო“, იტყოდა ხოლმე ნინიკა ამოოხვრით და საყვედურით გადაჰხედავდა თავისს თანამეცხედრე რუსუდანს, თითქო იმას ბრალს სდებდა, რომ ერთი ვაჟი-შვილის შობა როგორ გაუჭირდა შენისთანა მძლავრსა და გონიერს დედაკაცსაო. მაგრამ დღე და ჟამი მიდიოდა და ვაჟი-შვილი არსად იყო. ნინიკა გატყდა ბევრის მუშაობით და თანაშემწეს საჭიროებდა.

—

გაზაფხული დადგა, სოფელმა გამოიღვიძა და ფაცი-ფუცით შეუდგა საქმეს; საქმე ათასი იყო და ამასთან ყველა საჩქარო, დაუყოვნებლივ შესასრულებელი. ანეულის გუთანი შესაბმელი იყო, ქერები და სიმინდი სათესი, ბოსტანი შემოსაღობი, ფიჩხი მოსატანი, საფქვავი წასაღები შორეულ წისქვილში და ნინიკა-კი მარტო ხელი, რას უნდა გასწვდომოდა; მართალია, რუსუდანა ძმასავით მხარში უდგა, ვაჟკაცს არ ჩამოუვარდებოდა მუშაობაში, გოგოებიც მუყაითად ირჯებოდნენ სახლში, მაგრამ ტყეში რა ექმნა? გუთანზედ ვინ გაეყოლებინა?—დედაკაცები ხომ ვერ გახდებოდნენ ღამის მეხრეებად? მეტი გზა არ იყო, ნინიკა აქეთ-იქით მიდგა-მოდგა და მოჯამაგირედ დასაჭერი ბიჭი მოიკითხა.

სულ არ გაუვლია ორ-სამს დღეს, რომ შაქარა მგელაძემ თავისი ბიჭი მოუყვანა ნინიკას დასაყენებლად; შაქარა რუსუდანს ნათესავად მოხვდებოდა და ამ მიზეზმა უფრო გაადვილა გაბროს მოჯამაგირედ დაჭერა.

— აბა, შვილო, რა გაგიჭირდება ჩვენს ოჯახში, ტკბილად უთხრა რუსუდანამ, უცხო ხომ არა ხარ, ისე შეგინახავ, როგორც ღვიძლ შვილსა.

გაბრომ თავი ჩაღუნა და უსიტყვოდ დაეთანხმა მოჯამაგირობის პირობაზედ. ხუთი თუმანი ფული, კარგი ჩოხა-ახალუხი, ფეხსაცმელი უცვეთელი და ყალმუხის გარიბალდი სრული საკმარისი ჯილდო იყო ამის თვალში წლის განმავლობის დაულალავ მუშაობისათვის.

გაბრო შუა ტანის, მხარ-ბეჭ გადაშლილი, ჯმუხი ბიჭი იყო. თვალად პირველ შეხედულობაზედ ვერაფერს შთაბეჭდილებას ახდენდა დამნახველზედ, მხოლოდ შემდეგ, ცხოვრებაში, ამის ნაცრისფერი კეთილი თვალები რაღაც მეგობრულ თანაგრძნობას იწვევდა უცხო ადამიანისას. ძალზედ ქერა თმა, ქერა კოკობი ულვაში უმანკო თეთრ პირი-სახეზედ, გაბროს თითით საჩვენებლად ჰხდიდა მთელის სოფელის შავგვრემან მცხოვრებელთა შორის, მეტადრე პირველში, მანამ თვალი შეეჩვეოდა, სოფლის გოგო-ბიჭები, როგორც მაიმუნს ისე დასდევდნენ უკან და შეღრეჭოდნენ დარცხვენილს პირი-სახეში.

— უთუოდ მაგის დედას მუცელი რუსის დანახვაზედ ენძრაო, ოხუჯობდნენ დედაკაცები.

— ნეტა იმ წელს, როცა შენ გაჩნდი, ბიჭო, რუსები ხომ არ დადიოდნენ ბეგარაზედ თქვენს სოფელში? უკიჟინებდნენ ვაჟკაცნი.

გაბრო ყოველთვის ტკბილად იღიმებოდა ამ ხუმრობაზედ და დინჯად უხსნიდა ყველას, რომ მთელი იმათი ოჯახი, შთამომავლობით ქერანი ყოფილან. მარინე, ამის დედა, ძაან ქერა შეხვედრია ამის მამას და მთელი ოჯახი სუ ასე რუსების მზგავსები ჩამოვედითო, გარდა ჩემი დისა, პატარა ტასნაკასი, რომელიც ეშმაკივით შავია და ეშმაკივით მარდი და ონბაზი მთელ თეთრ-ყირმიზ და სიდინჯით სავსე ოჯახშიო.

—

გაბროს შემოსვლით ნინიკას ოჯახში ღვთის თვალი უფრო სიუხვით დატრიალდა. სინიდისიერმა და ჯანით სავსე ვაჟკაცმა სულ წალმა დაატრიალა ყველაფერი. გუთანი, ფარცხი, კალო ყველაზედ ადრე ჰქონდა ნინიკას მოჟმიერებული. ამასთან გაბროს ჩუმი და ტკბილი ხასიათი თანხმობისა და კმაყოფილების ნიადაგად შეიქმნა ნინიკას სახლობაში; ჩვეულებრივს გლეხ-კაცურ ლანძღვა-გინებას, უსამართლოდ საქონლის ცემას, მეზობლებთან შურს და უკმაყოფილებას ბოლო მოეღო ოჯახში.

რუსუდანი ხშირად ეტუტუნებოდა ნინიკას გაბროს ვაჟკაცობასა და პატიოსნებას და ურჩევდა შვილად ავიყვანოთო, კანონიერად გადავცეთ მემკვიდრობა, რომ სიბერის დროს ცეცხლი არ ჩაგვიქრეს და კარი არ გამოგვეხუროსო.

— მე და ჩემმა ღმერთმა, დედაკაცო, მართალს ამოფ, ეტყოდა ხოლმე ნინიკა რუსუდანს. მაგაზე უკეთესს შვილს ვერ ვინატრებდი თავისს დღეში, სწორედ ოქროა ეგ დედ-მამა ცხონებული, ოქროა! მაგის წახედვით ჩვენც, მთელი ოჯახი, ფეხზედ დავდექით, გავმხნევდით, ტყუილად-კი არ იტყვიან: „წამწყმიდა წახედულობამაო“.

— კი არ წაგვწყმიდა, შე ოჯახ ქორო, გაუსწორა რუსუდანმა, გვაცხონა, გვაცხონა, ადამიანო!

— ჩინებული ბიჭია, ჩინებული. მე რო იმის წამოკიდებულ ტომრებს ვუყურეფ, სწორე გითხრა მიკვირს. შეხედულობით მოხარშულ ჭარხალსა ჰგავს და საქმით-კი ფოლადივით მაგარია?

— სინიდისიანი, ჭკვიანი ბიჭიც არის დაუმატა რუსუდანმა, შეხედულობაც არა აქვს ურიგო, ცოტა მეტი ქერაა, მაგრამ რა ვუყოთ, შავი გოგო მოვგვაროთ და კარგი ჯანში ჩამოვა.

ამ ლაპარაკის დროს ცოლ-ქმარნი საბძლის ჩრდილოში ისხდნენ, ისვენებდნენ ნიაობის შემდეგ და ყმაწვილებიკი აგრძელებდნენ თავიანთს სა

ასენებიათ, მაგრამ ამ წინადადებას მარტო კარაველისტები დაეთანხმნენ.

—

რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე მე III გვამის დაკრძალვას 75 უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელი დაესწრება.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

იმპერატორის ალექსანდრე მესამის გარდაცვალების გამო მთელი ქვეყანა ალაპარაკდა და ჩვენც ჩვენს მკითხველებს ვაცნობეთ, თუ რა დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული განსვენებულს ხელმწიფეს. მოგვყავს კიდევ საფრანგეთის რამდენისამე გაზეთის აზრი.

ორლეანის გაზეთი „Soliel“ ამბობს:

«საფრანგეთი მეფის მადლობელი უნდა იყოს იმ დიდის მამულიშვილურის სიხარულისათვის, რომელიც 1871 წელს იგრძნო და რომელიც ჯერაც არ დავიწყებია და არც დაავიწყდება. რუსეთთან ერთად და რუსეთზედ არა ნაკლებ საფრანგეთი გლოვობს ალექსანდრე მესამესა»

პოლ დე კ სსანიაკი „Autorité“-ში სწერს:

„იმედი უნდა გვქონიოთ, რომ ღმერთი, რომელიც დიდხანს არა სწყალობდა თავისს უფროსს ასულს, საფრანგეთს, ეხლა შეიბრალებს; სული დიდებულის განსვენებულისა თავისს უკვდავ ტოლს შვილს თავს დასტრიალებს და ახალი ხელმწიფე მემკვიდრე იქმნება არა მარტო მისის გვირგვინისა, არამედ ისეთივე კეთილის-მყოფელი და თანამგრძნობი შეიქმნება ჩვენი, როგორიც იყო აწ ღვთის მიერ განსვენებული ალექსანდრე“.

ვაკერი სწერს „Rappel“-ში:

„ჩვენ გლოვა გვმართებს, მაგრამ სულით-კი არ უნდა დავეცეთ! საფრანგეთის ზღვაოსანთა დახვედრა კრონშტატსა და პეტერბურგში, მასპინძლობა, რომელიც რუსეთის ზღვაოსანთა გაუწია ტულონმა და პარიზმა, ამგვარად ჰმოწმობენ ამ ორს ერს შორის არსებულს თანაგრძნობას. მაგრამ აქ მარტო თანაგრძნობა არ არის. ჯერ არავის დავიწყებია ალექსანდრე მე-III ის სიტყვები, რომელიც მან ჩვენს ელჩს უთხრა: „დამშვიდდით მე, ჩვენი ინტერესები საერთოა“.

გუიოდგან სწერენ „Siecle“-ს:

„რუსეთის მეფის გარდაცვალება შესცვლის უცხო სახელმწიფოთა პოლიტიკას. გუშინ ჩვენ ნამდვილად ვიცოდით, რომ რუსეთის იმპერატორი ჩვენი მომხრე და მოკავშირე იყო, დღეს-კი არ ვიცით რა იქნება“.

„Justice“-ში კლემანსო სწერს:

„ალექსანდრე III-ს გარდაცვალების შემდეგ ქვეყანას მოაკლდა უმთავრესი თავ-მდები მშვიდობიანობის დაურღვევლობისა. ეს დევ-გმირი შეურყეველი დაბრკოლება იყო და არ აძლევდა ნებას, არც სხვა-და-სხვა შემთხვევასა და არც მრავალთა თავხედ განზრახვას, რომ უეცარი უთანხმოება გამოეწვიათ. ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთ შორის თანასწორ მდგომარეობას ერთი უმთავრესი ზნეობრივი ძალა მოაკლდაო“.

გაზ. „Intransigeant“-ი სწერს:

„რუსებისათვის ალექსანდრე მესამე უოველთვის იგივე ხელმწიფე, მამულიშვილი და მშვიდობის მოყვარე იქნება, რომელსაც რუსეთმა ყოველთვის უნდა სცეს პატივი და კალდებულიც არის ამ პატივისცემას. რაც შეგვეხება ჩვენ, ფრანგებს, ჩვენც კართ მოვალენი საყვარულით ვიხსენიებდეთ იმ მეფეს, რომელიც ხმა-მაღლა წინ აღუდგა თავხედს მძლეობას და მაშინ, როდესაც განცალკევებულნი დავრჩით, თავისს მეფური ხელი ძმურად გამოგვიწოდა. მთელს ევროპაში ალექსანდრე მესამეს გარდაცვალება საერთო მწუხარებას გამოიწვევს და არასოდეს არ დაავიწყდება, რომ იმაზედ იყო დამოკიდებული მშვიდობიანობა მთელის ქვეყნისაო“.

**

რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ისეთი უთანხმოება ასტყდება ხოლმე, რომელსაც არავითარი ლიტერატურული ხასიათი არა აქვს. მოსწყინდათ სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლებს საქმის ისეთი ვითარება, რომელთაც გაზ. „Новости“-ს სიტყვით ერთი მშვენიერი აზრი მოსვლიათ. განუზრახავთ ერთმანეთში «ერთობა» ჩამოაგდონ, ე. ი. დანიშნულს დროს შეიყარნენ ხოლმე ერთად და ყოველ ახლად აღძრულ საგნის შესახებ სჯა-ბაასი იქონიონ, იმ საგნებისა რომლების გამო ჟურნალ-გაზეთებში ხშირად სრულიად უნაყოფო პოლემიკა ასტყდება ხოლმე. არ, ამ უნაყოფობას პოლემიკისას, რომელიც ხშირად მეტის-მეტად გაამწვავებს ხოლმე მოწინააღმდეგეთ, მარტო იმ მიზეზითაც, რომ კამათობას საჯარო ბრძოლის ხასიათი აქვს, ბოლო მოეღება მხოლოდ მაშინ, როდესაც მწერლები კერძოდ გულ-დადებით მოილაპარაკებენ საკამათო საგნის შესახებაო.

რასაკვირველია, ძნელია იმის გამოცნობაო, ამბობს გაზეთი, რა შედეგი ექნება ამ აზრს. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საქმის ასე დაბოლოებას ხელს შეუშლის საზოგადო ნაკლულევანება რუსეთის ინტელიგენტებისა: იმათი პირადი თავმოყვარეობა, მეთაურობის სურვილი, ერთობის შეუჩვევლობა და სხვ. და სხვა, მაგრამ ეს ნაკლი შეიძლება კაცმა აიცილოს, თუ ისინი, რომელნიც თანაუგრძნობენ ამ ახალს წინადადებას, მოემზადებიან ამ თვისებებთან საბრძოლველად და როგორც თავისთა შორის, ისე სხვათა შორის ეცდებიან ამ ნაკლის მიჩიანად ამოფხვრასა. მართლაც ერთობა იმდენად საჭიროა, რომ ამის განსახორციელებლად თვით თავისის თავის შელახვაც კი ღირდაც რომ ღირს, მით უმეტეს, რომ, თუ ეს განზრახვა ასრულდა, მაშინ არა მარტო უაზრო და უნაყოფო პოლემიკა შემცირდება, არამედ თვალსაჩინო და ყოვლად საჭირო საგანი უფრო კარგად იქმნება გარჩეულ-განხილული.

რამდენადაც კი ჩვენ ვიცით, იმათ, რომელთაც მოუსურვებიათ „ერთობის“ ჩამოგდება განზრახვა აქვთ, მწერლებს გარდა, მოიწვიონ ხოლმე ისანიც, ვისაც შესწავლილი აქვს რუსეთის შინაგანი ცხოვრება. ამგვარად, ასეთს კრებას შედეგად მოჰყვება არა მარტო ის, რომ სხვა-და სხვა რედაქციის წარმომადგენლებს და მწერლებს შეეძლება მოუცემით ერთმანეთის აზრები შეიტყონ, სულ ერთია თუნდა სხვა და სხვა მიმართულებისანიც იყვნენ, არამედ რომელსამე საქმის მცოდნე კაცებთან „ექსპერტებთან“ დაახლოვდებიან. ამ გვარ კრებაზედ შეიძლება შეიმუშაონ პროგრამები იმ საგნებისა, რომელთა აღძვრა და განხილვა იმ დროს ყოვლად საჭიროა. ამიტომ უველა ის საგანი, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში აღიძვრება ხოლმე, იმ ქარათ-კი არ იქმნება მონაზერი, რომელსაც შემთხვევა ჰქვიან, არამედ თვით ცხოვრების საჭიროება მოითხოვს იმათს განხილვას და გამორკვევას...

კარგი იქნებოდა, ასევე მოქცეულიყვნენ ჩვენის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, რომელნიც ერთმანეთის კიცხვა-კილვის მეტს არას აკეთებენ და საგნები-კი, რომელთა გამორკვევასაც ქართველთა ცხოვრება საჭიროებს, უყურადღებოდ არის დატოვებული.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი, ს. ა. შერემეტევი დღეს, 2 ნოემბერს, პეტერბურგს მიდის განსვენებულის ხელმწიფე ალექსანდრე ალექსანდრეს ძის გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად.

*** ქუთაისისა და ფოთის ქალაქის გამგეობანი შუამდგომლობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ ნება მიეცეთ ხსენებულ ქალაქებს გარდასახადი დააწესონ მუშა ხალხისათვის საავადმყოფოს დასაარსებლად. ეს გარდასახადი გამოერთმევათ იმავე წესით, როგორც ვარშავაში, ოდესაში და სხვ. ქალაქებშია დაწესებული.

*** ახლო მომავალში სახელმწიფო საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს ორს საგანს, იმის შესახებ, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვი მოემატოს ბაქოს გუბერნიაში და ტფილისის მეორე გიმნაზიის სახლის ასაგებად 140,195 მ. 18 კ. გადაიდოს.

*** გუშინ, 31 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის წინადადების თანახმად, ტფილისის საბჭომ დაადგინა, რომ რუსეთის მწერლის კრილოვის პატივსაცემლად 1) მე-10 ნაწილში ახლად გაყვანილს ქუჩას, ამ ქუჩის მცხოვრებლების სურვილის თანახმად, „კრილოვის“ ქუჩა დაერქვას; 2) დაერქვას „კრილოვისავე“ სახელი ერთ ერთს ქალაქის ბაღს, და 3) დაურიგდეს კრილოვის იგავ-არაკების იაფფასიანი გამოცემა ქალაქის პირველდაწყებით სასწავლებლების, სახელოსნო სასწავლებლების და პროფესიანულ სასწავლებლის მოსწავლე ქალებს და ამისთვის 100 მან. გადაიდო.

---

ქმეს.

— ერთი შეხედე ი მარუა გოგოს, რა რიგ ამოსდგომია გვერდში გაბროს და რა რიგ გააქვთ და გამოაქვთ ნალეწი. უყურე, თუ ერთხელ ჩამორჩეს ფიწლის ასროლაში. მე და ჩემმა ღმერთმა, დედა-კაცო, ურიგო არ იქნება, რომ ეგ გოგო-ბიჭი შევაუღლოთ და ისე დავისახლოთ ოჯახში! შენი არ იყოს, ეგეც შავი გოგო და თეთრი ბიჭი! მეშენ გითხრა, კარგი ჯიშში არ ჩამოუათ, გაიმეორა ნინიკამ თავისის ცოლის ნათქვამი და გაიღიმა.

— უი ჩემ თვალებს, ეგ რა თქვი, კაცო, თავში როგორ მოგივიდა მაგისთანა ულთო ფიქრი. ქა, არ იცი, რომ გაბრო ჩემი ნათესავია? ნათესავს რომ ქალი არ მივცე, კაცი გაწყვეტილა ქვეყანაზედ?

— მართლა, მაგრამ ზედ გამოწყობილნი-კი არიან და!

— შინ დაბრუნებული ქალი რა შვილია ოჯახისათვის. ჩემის ხელით ჩემს თავს ბატონი გაუხადო, ჩემი ლვიძლი შვილი მაზლის ცოლად გადავიქციო და პირში ლუკმა ვათვლევინო? არა, დედავ და თვალო, მე მაგას თავი დღეში არა ვიქ, თუნდ საიძო ზეციდამ ჩამოსულიც იყოს!

— მაშ ვიშვილოთ, მე უარზე არ ვიქნები, წელიწადში ხუთი თუმანი მაგის ჯამაგირიც შინ დაგვრჩება და ხუთი თუმანი დიდი ფულია გლეხკაცის ოჯახისთვის, დაეთანხმა საქმროდ ყოველთვის ცოლის ჭკუაზედ მოსიარულე ნინიკა.

— ერთი სიტყვით ღვთის მოწყალება იქნება თუ შაქარა დავიყოლიეთ როგორმე; მაგისთანა მუშაზედ ის ხელს ადვილად არ აიღებს და რა უყოთ, რითი შევისყიდოთ?

—

დიდი ხანი აღარ გამოიყვანა ნინიკამ, პირველ კვირა დღეს ადრიანად გაემგზავრა იმ სოფელში, სადაც შაქარა მგელაძე სცხოვრებდა; კარგა მოზრდილი ხურჯინი, გატენილი ყოველის სანუკველით მაგრად მიაკრა უნაგირზედ და თითონ ფეხით გაუძღვა თავისს ჩასუქებულს ფაშატს.

ნინიკა დარბაისელი, გონიერი, მოსიყვარულე გულის პატრონი გლეხკაცი იყო და კარგად ესმოდა, თუ რა საძნელოა მისთვის ცოცხალ შვილზედ ხელის აღება, სხვა ოჯახში გადაცემა, მაგრამ ეს იმითი ჰნუგეშობდა, რომ შაქარა დაზარალებულის ოჯახის პატრონი იყო, საქონელი არსად გააჩნდა, მამული ნატამალი არა ჰქონდა და შვილისათვის იქნება შეეწირა თავისი პიროვნული გრძნობა და მდიდარის ოჯახის ნეთაურად დაეთმო.

— მეც ისე როგორ შევრცხვები, ჰფიქრობდა თავისს გულში ნინიკა, რომ ერთი უღელი ხარი მაინც არ შევაწიო საწყალ შაქარას. ჩემ დანარჩენ საქონელსაც წავახმარებ, ანეულეს მოუხნავ, ცოტაოდენსაც დაუთეს ვ. ვეცდები ხელი გავუმართო იმისს დავარდნილ ოჯახს. სამი ვაჟკაცი ბიჭი კიდევ დარჩება და ღმერთი ხელს წაუმართავს. ნინიკამ ისიც იცოდა, რომ გაბროს დედა არა ჰყავდა ცოცხალი და ეს გარემოება ძალიან გაადვილებდა საქმეს.

შაქარამ დიდხანს იყოყმანა, დიდხანს იოხრა და იშოშმინა ნინიკას წინადადების გამო, ბევრ ნაირად ასწონ-დასწონა იმის დანაპირევი შემწეობა, იმისთანა გაკეთებულ გლეხთან დამოყვრება და კავშირის მნიშვნელობა და ხელი გაუშვირა.

— ეჰ, მამიცია ეგ ერთი შვილი, შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც მხარს მომცემ და ჩემ გაბროს კეთილ მამობას გაუწევ. რა ვქნა, ძნელია მაგისთანა მუშის მოშორება, მაგრამ რა გეეწყობა. აი ჩემი დიდი ბიჭიც მახჩობს, ცოლი მამიყვანეო და არ ვიცი რითი გავხვდე; ოჯახია და უდედაკაცოთ აგვიოხრდა, და თუ ორიოდ ცხენის საპალნე ღვინოსაც შემოგვაწევ საქორწილოდ...

— დეე, ღვინოც ჩემს კისერს იყოს! უთხრა გახარებულმა ნინიკამ და წასასვლელად გაემზადა. აი შვიდი დღე მომიცია მოსაფიქრებლად, მოილაპარაკე შენ შვილებთან, დეეკითხე მტერს და მოყვარეს და თუ ჭკუაში დაგიჯდეს, კვირას შენი შვილებით გადმოდი ჩვენ სოფელში და მე მამასახლისთან და ორიოდ დარბაისელთან პიროპას მივცემ გაბროს და იმასაც თავისს მხრივ მოვაცემინებ. მართალია, სიტყვა სიტყვაა, დაპირება პატიოსანი გლეხისთვის რჯული და კანონია, მაგრამ დეე ჩვენც დროს მიხედვით მოვიქცეთ და კანონის ჯაჭვით გადავიბნეთ.

—

ნინიკას მეორე ქალი (პირველი ამ ორის წლის წინად გაისტუმრა) თექვსმეტის წლის შეღერებული გოგო იყო; იმისს ახოვანი ტანი და განიერი გულ-მკერდი უფრო კარგად ჩასხმულ ოცდა ხუთი წლის დედა-კაცს შეეფერებოდა, ვიდრე თექვსმეტი წლის მოზარდს. მაროს ხასიათიც ახოვანების შესაფერი ჰქონდა: უდროოდ დადარბაისებული, ჩუმი, წყნარი და მკვიდრი. რასაც ხელს მოჰკიდებდა მარო, უსათუოდ კარგად, გულდასმით გააკეთებდა, წყნარად, აუჩქარებლივ, მაგრამ საფუძლიანად, ორისავე ხელით და დაკვირვებით. რუსუდანი ისე უყურებდა ამას, როგორც თავისს მარჯვენა ხელს და დაკვეხებით იტყოდა ხოლმე დედაკაცებში: „ნეტა იმის ოჯახს, ვის ოჯახშიაც ჩემი მარო დატრიალდება; მე შენ გითხრა აჩქარებით წაახდენს რასმე, ან რისამე გაკეთების დრო გამოეპარებაო“.

მაროს სახარბიელო შეხედულობა და შრომის სიყვარული შეუნიშნავი არ დარჩა და რუსუდანს მათხოვარი მათხოვარზედ მოსდიოდა, მაგრამ ის ძალიან ძვირად აფასებდა თავისს „მარჯვენა ხელს“ და მათხოვრები უკანვე უბრუნდებოდნენ. ათი თუმანი დიდად საგრძნობელი მისატანი იყო ღარიბთათვის და რუსუდანი არა სჩქარობდა და გულ არხეინად მოელოდდა შეძლებულის ოჯახის დამოყვრებას.

გაბრომ, როგორც მთელის ოჯახის, ისე მაროს გულიც გაადვიძა და, როგორც მოგეხსენებათ, თექვსმეტის წლის შეთქვირებულის ქალის გულის გაღვიძება ცეცხლის მფრქვევ მთას ემსგავსება და თავისს გარშემო სწვავს და სდაგავს; გაბრომ უმალვე იგრძნო ამ ცეცხლის ძალა და თუმცა არ აპრიალდა, (ეს გაბროს დინჯ და წყნარ ბუნებისთვის შეუძლებელი იყო), მაგრამ სიამოვნებით კი ხელები მიუშვირა გასათბობად. როგორც გლეხკაცობის ჩვეულებას და ბუნებას შეეფერება, ეს თანაგრძნობა, რასაკვირველია, უსიტყვო და სადა იყო, თანაგრძნობა მხოლოდ ერთმანერთის სამუშაოს გაადვილებითა და დახმარებით თუ გამოიხატებოდა. კერძის განაწილებაშიაც მარო არ აკლებდა საუკეთესო ლუკმას მოჯამაგირეს, სუფრაზედაც არა სთაკილობდა იმის გვერდით დაეტოვებინა თავისის დასაჯდომი ალაგი, მაგრამ განსაზღვრულ ზღუდეს ჯერ არ გადასულიყო ყმაწვილი ქალ-ვაჟის საიდუმლო კავშირი, როდესაც ნინიკამ თავისს სურვილი გაბროს შვილობაზედ მეხივით თავს დაატეხა.

*** ქუთაისი; 3 ნოემბერს ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით იქმნება გამართული კრება. კრებამ უნდა განიხილოს ის საგანი, დაიკეტოს თუ არა კვირა-უქმე დღეს დუქნები. სწორედ სამწუხაროა, რომ ნოქრებმა, რომლებიც კვირა-უქმე დღეებშიაც დუქნებ-მაღაზიებში ატარებენ მთელს დღეს, არ იციან ეკკლესიის კარების გზა და სრულებით ეკარგებათ სასოება. ბევრი მათგანი რიგიანად პირჯვრის-წერასაც-კი ვერ ახერხებს. იმედია, ეს კრება რიგიანად ასწონ-დასწონავს ამ საგანს და ღვთის იქით მაინც არის მიანიჭებენ კვირა-უქმე დღეს დასვენების საშუალებას.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა ჩანს, რომ 30 ოქტომბერს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში მიუყვანიათ პოლიციის მე-10 ნაწილიდგან აზიის ხოლერით ავადმყოფი, ალექსანდრე ნეველის ეკკლესიის დიაკვანი სტრატონ ჩერედნიკოვი.

ძველ ხოლერით ავადმყოფებიდგან განკურნებულან ელისაბედ გრიქუროვისა; საავადმყოფოშივე წვანან გეურქოვი და გვახარია.

*** ქიზიყი: წელს ღვინის მოსავალი საშუალო იყო და კახეთში-კი უფრო ნაკლები, მაგრამ მაინც ღვინოს ფასი არა აქვს, რადგანაც ღვინის ვაჭრობის ჩარხი სულ რამდენისამე ჩარჩის ხელშია — და საითაც უნდათ, იქით ატრიალებენ. ამავე მდგომარეობაშია წლევანდელი სულადის მოსავალიც. ერთის სიტყვით, ყველა ჩვენი წლის მოსავალი საძალლ-ლორედ არის გამხდარი ჩვენისავე სამარცხვინო თავ-გამოუდებლობით. დღე და ღამ სისხლის ოფლის მღვრელები ათას გაჭირვების ზღვაში ვირჩობით და ცუდა-მჭამელა ვაჭარ-ჩარჩებ-მოვახშეები-კი დღე-მუდამ „ლოთებო, ნეტავი ჩვენას“! მღერიან უდარდელად, ჩვენის მონაგარით „კისერ-გატროყებულები“.

*** სოფ. მონასტერი (დუშეთის მაზრა): 25 ოქტომბერს, ღამის სამს საათზედ, შეიარაღებული რვა კაცი დაესხა თავს პავლე დურგლიშვილის დუქანსა. შეჰკრეს იმათი მოჯამაგირე მაგრად, თავს დაადგნენ და თითონ-კი არხეინად შეუდგნენ ჩამოლაგებას. საქონელი და ნაღდის თორმეტის თუმნის ფარჩეულობა წაიღეს და გაუდგნენ არხეინად გზასა. ამნაირი ამბავი ჩვენსკენ ხშირია, მაგრამ ყურადღებას-კი არავინ აქცევს.

*** ს. აკეთი გურია. კვირას 23 ოქტომბერს აკეთის მაცხოვრის ეკკლესიაში მ. ზოსიმე მჭედლიშვილმა გარდაიხადა პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრე III ს სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ აკეთის ორკლასიანის სკოლის მოსწავლენი და მასწავლებლები.

*** გაზეთი „Русскя Жизнь“ ამბობს, რომ ამიერ კავკასიაში ლოთობა უფრო ძალიან არის გავრცელებული, ვიდრე რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებშიო. მთელს კავკასიაში სასმელებზედ 11,210000 მანეთი იხარჯება და მარტო ღვინოზედ 6,600,000 მანეთი. კავკასიაში 27 მილიონი თუნგი ღვინო მოდის, ამ რაოდენობიდგან კავკასიის გარედ მარტო 1,800,000 თუნგი ღვინო იგზავნება, დანარჩენ $15^1/_2$ მილიონ თუნგამდე-კი თვით კავკასიაში სვამენო.

*** 30 ოქტომბერს ტფილისის მცხოვრებელი დავით პოლოსას ძე ელიაზაროვი ავლაბრის ხიდიდგან მტკვარში გადავარდა, ცურვით წავიდა წყალში, ზუბალოვის ქარვასლის გვერდით ქვას ხელი ჩასჭიდა და ფეხი ამოიღო. ... სამ დღე ეწია და ... ხმით ... ; ფეხი ამოიღო მრავალმა ... ; ფეხი თვითონ მოინდომა მისცეს; ამ დროს ... მორიელი ... მაგრამ ... ლი მესტიაშვილი, სასწრაფოდ მიაკვდა ... ელიაზაროვს და ამოიყვანა.

*** 31 ოქტომბერს შავსოფლის ქუჩაზედ სერგეი ამირჯანოვი წაეჩხუბა ავლაბრის მცხოვრებელს დიმიტრი მაკარენკოს და ხანჯლით დასჭრა. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზედვე გარდაიცვალა. დამნაშავე შეიპყრეს.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

ორშაბათს, 31 ოქტომბერს, შესდგა განგრძელება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებისა, რომელიც დაიწყო კვირას, 30 ოქტომბერს და რომლის შესახებ ცნობა ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა დაბეჭდილი.

კრებამ განიხილა საგანი სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის შესახებ და მხედველობაში მიიღო რა, რომ ტფილისის გუბერნიის ქართველს თავად-აზნაურობას მხოლოდ ქონებრივად შეუძლიან დაეხმაროს ამ სასწავლებელს, დაადგინა: საქმე ამ სასწავლებლის დაარსებისა ჯერ-ჯერობით გადიდოს და კრებამ ის განიხილოს რა გზით იშოვოს ფული როგორც აწ არსებულ სათავად-აზნაურო სასწავლებელთა უზრუნველ-საყოფელად, ისე ახალის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად და გასაძღოლად.

ამის გამო კრებამ სცნო, რომ ამ საგნის გარდაწყვეტა დამოკიდებულია იმაზედ, რა საშუალება ექნება თავად-აზნაურობასაო, და განიხილა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობის მიერ წარგზავნილი ქაღალდი. ამ ქაღალდში ბანკის მმართველობა სწერდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს, პირველი, რომ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს საზოგადო კრებანი ბანკისა ბანკის წევრთაგან ამორჩეულ წარმომადგენელთაგან იყოს ამიერ შემდგარი და მეორე, რომ არწრუნისეული ქარვასლის ყიდვა უნდა თუ არა თავად-აზნაურობას, როგორც აცნობა ეს ბ-ნმა გუბერნიის მარშალმა ბანკს შარშან და ითხოვა, რომ ღონისძიება მიიღოს თავად-აზნაურობამ საზოგადო კრებათა ცვლილება ისე არ მოხდეს, რომ თავად-აზნაურობის ინტერესები არ იყოს დაცულ და აცნობოს ბანკს ჰსურს თუ არა იყიდოს ბანკისაგან არწრუნისეული ქარვასლა, რადგანაც ამ ორსავე საგანზე დამოკიდებულია იგი სახსარი, რომლის შემწეობითაც თავად-აზნაურობა უნდა გაუძლვეს, როგორც არც არსებულ სკოლებს, ისეც განზრახულ სამეურნეო სასწავლებელს.

თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა: აცნობოს ბანკს სურვილი ქარვასლის სყიდვისა და ამისათვის 1) მიენდოს გუბერნიის წინამძღოლს, მოელაპარაკოს და მოურიგდეს სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს იმ საქმეში, თუ რა წესით და რა გზით უნდა შეიძინოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ხსენებული ქარვასლა. ამასთან ამორჩეულ იქმნას კომისია და ამ კომისიას გუბერნიის წინამძღოლთან ერთად მიენდოს ყოველ მხრივ განხილვა იმ საგნისა, თუ როგორ მოიპოვოს სახსარი თავად-აზნაურობამ არწრუნისეულის ქარვასლის შესაძენად და რა საშუალებით, დაიმტკიცოს იგი, კომისიის მიერ შედგენილი პროექტი ქარვასლის შეძენის შესახებ მოხსენდეს მომავალს გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას.

2) ამორჩეულ იქმნას კომისია, რომელშიაც ათი წევრი უნდა იყოს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით.

ამ კომისის წევრებად ამორჩეულ იქმნენ თ. ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავა, ძე, თ. ივანე გივის ძე ამილახვარი, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, თ. გიორგი ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი, თ. ვლადიმირ დავითის ძე ვაჩნაძე, ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი, ალექსანდრე ივანეს ძე სავანელი, მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი და იოსებ პაატას ძე მგალობლიშვილი;

4) მიენდოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რომ როდესაც სამინისტრო შეუდგება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრებათა შესახებ კანონდებულების შემუშავებას საზოგადოდ და ამ კრებებზედ თავად-აზნაურთა წარმომადგენელთა მოწვევის წეს-რიგის გამო განსაკუთრებით, თავად-აზნაურობის ინტერესები იქმნას დაცული იმ მხრივ, რომ თავად-აზნაურობას ნება მიეცეს ბანკის საზოგადო კრებაზედ იმდენი თავისი წარმომადგენელი იყოლიოს, რამდენიც საჭიროა, რათა არ დაირღვეს ის აზრი და განზრახვა, რომელსაც ძვირად აფასებს თავად-აზნაურობა და რომლისა გამო არ დაიშურა თავისი მსხვერპლი, რამდენიც-კი შეეძლო, თვით ჩვენის საკრედიტო დაწესებულების დაარსების დროს; ბანკის წარმომადგენელთ ეთხოვოს, რომ გუბერნიის სათავად-აზნაურო წინამძღოლისათვის შეადგინონ ამ საგნის შესაფერი წერილი, რომელიც, ზემოხსენებულ კომისიის მიერ მოწონების შემდეგ, წარედგინება სადაც ჯერ არს.

## თავად ანტონ ლორთქიფანიძის გვამის დაკრძალვა

(წერილი ქუთაისიდგან)

ჯერ კიდევ ახალგაზდა, ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ჩვენი ანტონი!... მოაკლდა ერთი საუკეთესო წევრი ისედაც ღარიბს და დაობლებულს ჩვენს საზოგადოებას! ვინ-ღ...

---

ნინიკას სახლში კვირა დღეს მეჯლისი გაიმართა: სოფლის დარბაისელნი, მამასახლისი და მოძღვარი რიგიანად შეზარხოშდნენ, კარგად ისადილეს და ნასადილევს ნინიკას და გაბროს პირობის ქაღალდი დაუწერეს, სახელმწიფო ბეჭედი დაჰკრეს და მოძღვრულის ლოცვა-კურთხევით შეაკავშირეს. რუსუდანმა მარჯვენა ძუძუ ამოიღო, გაბრომ წინ დაუჩოქა და დედაშვილობის ნიშნად ძუძუსთავზედ კბილი მოუჭირა *) ამდროს სტუმრებმა ხმა მაღლა შემოსძახეს: „კეთილი, კეთილი იყოს თქვენი დედაშვილობა, კეთილი, მრავალჟამიერო!“

შემდეგ რუსუდანი თვალ ცრემლიანი გადაეხვია თავისს შვილობილს, ნინიკამ პირი მოუკოცნა და რამდენიმე გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა გაბროს! „შენ იკი და შენმა ბიჭობამ, ჩემო შვილო! დღეიდგან შენ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ და ვინძლო იმედი არ გამიცრუო, სიკვდილამდე არ მიმტყუნო და ჩემი ოჯახის ავი და კარგი შენ საკუთარ ჭირად და ლხინად მიიღო“. მერე მიუბრუნდა მაროს, როგორც უფროსს შვილს, და უთხრა: „აბა, შვილო, შენც აკოცე შენ ახალ შეძენილს ძმას და ვინძლო ნამდვილი და-ძმური სიყვარულით შეიყვარო“.

მარო მთელ ამ ამბის დროს კუნჭულში მობუზული იდგა და რაღაც გამოურკვეველი მწუხარება აწვა გულზედ, ეს მამის სიტყვებს დაემორჩილა და მოწიწებით მიუახლოვდა გაბროს.

მაროს გულს საშინელი ბაგი-ბუგი გაჰქონდა, მუხლები ეკეცებოდა, აკანკალებული ხელი გაუწვდინა და უცებ ტუჩებში აკოცა; გაბრო გაფითრდა, წაბარბაცდა; მაროს პირის ოფლმა დაასხა და ცეცხლი წაუკიდა. ასე თავ-ჩაღუნულნი იდგნენ ერთმანერთის წინ გაბრო და მარო და აქ მყოფი საზოგადოება სულ დაავიწყდათ.

— რა დაგემართათ, თქვე უხეიროებო, შეუტია რუსუდანმა ორივეს, რისა შეგრცხვათ, დღეის იქით შენ და ხარ და ეგ ძმა, ღმერთმა ერთმანეთის სიყვარული და მეგობრობა გაგიძრიელოთ და ნუ მოგაკლოთ.

მარომ და გაბრომ ერთ-გვარის მორჩილებით მიიღეს ეს ახალი ხარისხი და არც ერთის მოძრაობით, არც ერთის სიტყვით არ გამოუთქვამთ საყვედური იმათის სულიერის კავშირის ამ გვარად შელახვისათვის, სამაგიეროდ ნათესაურმა დამოკიდებულებამ კიდეც გაუადვილათ, ხელი გაუხსნათ უფრო ვრცლად, უფრო მოურიდებლად დაეტკბოთ თავიანთის გულის მღელვარება.

გაბრო მუშაობის შემდეგ ჩრდილოში წამოწოლილი თამამად ჩაუდებდა ხოლმე თავს კალთაში თავისს დობილს და მაროც სიამოვნებით უწეწავდა აბრეშუმივით ბრჭყვიალა თმას, ხელს უსვავდა სპეტაკს შუბლზედ, ჰარმონიულის ნანით უტკბობდა ყურს და სიახლოვით გულს და სურვილს. მთვარიან ღამეებში, სიმინდის რჩევაზედ, ხშირად მიაყრდნობდა ხოლმე მარო გაბროს მხარს და სთვრებოდა იმის გულის მოხშირებულის ფართხალით; ბევრჯელ ეს სიმთვრალე იქამდისაც მიაღწევდა ხოლმე, რომ ტუჩი ტუჩს იპოვნიდა, ხელი ყელს და თავის დავიწყებამდე მიიყვანდა ტუჩ შეწებებულთა და ხელგადახვეულთ, მაგრამ.... გაახსენდებოდათ, რომ ესენი და-ძმანი იყვნენ და ცივ-წყალ-დასხმულისავით გამოფხიზლდებოდნენ ხოლმე.

გერისთობა დღეს ნინიკას ცოლშვილი დართულ-დაკაზმული, მშვენიერის ხარ-კამბეჩით და მკვიდრად ჩარდახ-გადადგმულ ურმით საუკეთესო ალაგას იყო გამოჭიმული ეკკლესიის სიახლოვეს. მრავალი მტერმოყვარე მოვიდა ამათთან სანახვად, მრავალმა იგემა ამათი პურ-მარილი.

ჭრელ კაბაში გამოწყობილი და პირველად თავ-დახურული მარო საშინლად ჰშვენოდა; იმის შავგვრემანს პირი-სახეს ბლომად წასმული უმარილი უელვარებდა და გამოურკვეველი ტრფიალების ალი რაღაც სიცოცხლით სავსე მიმზიდველობას აძლევდა; ჩვეულებრივ დინჯი და დარბაისელი მარო, დღეს მღელვარებითა და მოძრაობით სავსე იყო: წამ-და-უწუმ იცინოდა, ლეკურის თამაშობაში თითქოს ცელქობდა კიდეც; გაბრო ურმის თავზედ, კოფოზედ, ყეენივით იჯდა და ბედნიერის ღიმილით შესცქეროდა.

— აუარებელი გამშინჯველი მოაწყდა პაპიანთ ქილსა, ეუბნებოდა შორი-ახლოს ერში მდგომი ახალგაზდა გლეხი მეორეს. ახლა ნახე როგორ გაინაზებიან პატრონები! ამბობენ, ათ თუმანს მისატანს ფეხს არ უცვლიანო.

— მე და ჩემმა ღმერთა, რომ ღირს! ნეტა ღონე მქონდეს, თორემ თუთხმეტსაც არ დავზოგავდი, მიუგო მეორემ. აბა შეხე, კაცო, იმის ბეჭებს, იმის ზორბა ხელებს. ხუთი დედაკაცის ოღონობას გაუწევს ოჯახს. იმისი დაკრული ლავაშის ჭირიმე! მე შენ გითხრა, ერთ წამზედ არ გაათხელებს თუ.

— შე, ოჯახქორო და დედაკაცი მარტო იმიტომ გინდა, რომ ლავაშები დაათხელოს! განა იმის შავი თვალები ლავაშებზედ ნაკლებ ჩაგაგემებს? ერთი იმის სიცილი ერთ ქალათა ღირს.

— არა, განა მაგას ვამოფ! დარცხვენითა სთქვა პირველმა, ლამაზი გოგოა, მაგრამ სილამაზესთან თუ ჯანიანიც არ არის, გლეხს რას გამოადგება. თავადები ხომ არა ვართ, რომ ტახტზედ დავსვათ დედა-კაცი და მუხლზედ ხელები დავაწყობინოთ.

— ეგეც მართალია, მაგრამ მე პაპიაანთ გოგო უფრო-კი იმისთვის მამწონს, რომ ლამაზია. რო შეძლება მქონდეს, მედა ჩემმა ღმერთმა, მეც დავსვამდი დედა-კაცს ტახტზედ; სუფთა და მორთული არა სჯობია დოში ამოთხუპნულ მანდილოსანს.

— როგორ გეტყობა, რომ ბატონებთან ნამყოფი ხარ, დაცინვით მიუგო გლეხმა. არა, შვილო, მე მაგას თავისს დღეში არ ვიქმოდი. რათა, მე მთელი დღე მიწას ოფლი ვაწურო და დედა-კაცი-კი ტახტზე დავსვა! რასთვისაო? თუ შეუძლია, მეუღლე უნდა იყოს: ჩემმა შინდამ გიშერას რომ არ გაუწიოს, მაშინვე დავკლავ და სხვა მეუღლეს შეუბავ.

— კარგი, ჰო, ნუ გააჭიანურე. წამო, ლხინში ჩავერიოთ, ჰხედავ რამდენი გოგოები მოუყვანიათ, ერთ-ერთი ავირჩიოთ და თუ ჩვენი ბედი იქნება, შემოდგომაზედ ქორწილი გავაჩაღოთ.

მინამ ყმაწვილები ლხინობდნენ და თამაშობდნენ ბევრმა დედმამამ კიდეც გადასწყვიტა თავისის შვილების ბედი. რუსუდან და ნინიკაც შესთანხმდნენ ერთ კარგ გაკეთებულ გლეხკაცთან მოყვრობას და პირობა დასდეს, რომ ჯვარობიდან გზად შეივლიდნენ სამოყვრონი პაპიაანთსა და ქალს „ბელგას“ მისცემდნენ.

ეკ. გაბაშვილისა

(დასასრული იქნება)

*) ქართლში ხშირად ხდება ამ გვარად შვილად აყვანა და ხალხის ჩვეულებაში შეურყეველ ზნეობის კანონად ითვლება.

უსალბუნებს ჩვენს მწუხარე გულს, ვინ-ღა გადაქვფერავს სევდას, ვინ-ღა გაგვიადვილებს სიცოცხლისთვის ბრძოლას და სიცოცხლით ვინ ღა გაგვამხნევებს?.. სიცილი დიდი რამ აქმეა, განსაკუთრებით იმ დროს, როცა გარშემო თვალ უწვდენელი ზღვა სდგას ცრემლისა. იგი მაშინ კანდელივით გვინათლებს გზას და ძალ-ღონეს გვმატებს. განა სიცილით არ გაითქვა, უმთავრესად, თვისს დიდებული სახელი ვოლტერმა? განა სიცილი არ იყო საუკეთესო თვისება გოგოლისა? მაგრამ იტყვიან — ანტონის სიცილი სხვა სიცილი იყოო. მე კი მხოლოდ აქ ნიჭის ძლიერების განსხვავებას ვხედავ: რამდენჯერ გვინახავს ანტონი პირმცინარე და მღიმარე და გულში-კი მტირალი, როცა იგი ჩვენი ხალხის ნაკლულევანებებს ასურათებდა რაიმე ანეკდოტით. მაგრამ რა ეს მაგალითია საჭირო. განა მთელი მისი სიცოცხლე ამას არა ჰმოწმობს?!

დაასრულა თუ არა სწავლა ოდესის უნივერსიტეტში, განსვენებული ანტონ ლორთქიფანიძე ქუთაისში დაბრუნდა და საზოგადოების სამსახურს შეუდგა: იყო არჩეული ქალაქის დეპუტატად, შემდეგ ქალაქის გამგეობის წევრად, რამდენჯერმე ამოირჩიეს ხმოსნად, ამავე დროს დააარსა ქუთაისში წიგნთ-საცავი, მხურვალედ ჰზრუნავდა ქართულის სცენის ფეხზედ დაყენებას და თითონაც თამაშობდა სხვა-და-სხვა როლებს (იმისგან შექმნილი იმერლის სასცენო ტიპი ახლაც ბევრს ახსოვს, როგორც სრული ხელოვნური ქმნილება), დიდ მონაწილეობას იღებდა სათავად-აზნაურო ბანკში ჯერ როგორც დასის წევრი და შემდეგ როგორც წევრი ზედამხედველის კომიტეტისა, აგრეთვე დიდ ხანს ემსახურებოდა ჩვენს სწავლა განათლების საქმეს, როგორც წევრი სკოლის კომიტეტისა. განსვენებული რომ აღარ დასჯერდა ქუთაისის, საქმედო ასპარეზს, ტფილისში გადავიდა და იქ ერთს ხანს ქართულის თეატრის ანტრეპრენერად იყო და ხშირად თავათ გამოდიოდა ხოლმე სცენაზედ როგორც დახელოვნებული არტისტი.

როცა გავითვალისწინებთ ხოლმე ყველა ამას, მაშინ შეგვიძლიან იმის მეგობრებს, თამამად ვსთქვათ, რომ განსვენებული უდარდელი და უზრუნველი არ ყოფილა, არამედ მეტისმეტად თავ-გამოდებული მუშაკი და მოსარჩლე თავისის სამშობლო ქვეყნისა. მხიარული ბუნება, რომლის გამო ისე ძლიერ უყვარდა განსვენებული ყველა იმის ნაცნობს, მოსდგამდა იმერეთის შვილობით. ამ მხრით იმერლები ძლიერ ემზგავსებიან ფრანგებს. დიახ ანტონი იყო ნამდვილი იმერელი, შემკული იმერლების საუმჯობესო თვისებანით, მაგრამ ამავე დროს გონება განვითარებული გულ-სპეტაკი და მოკლებული იყო ყოველს იმათს ცუდს თვისებას. იგი იყო ერთობ ზრდილი, ნაზი გულის პატრონი, უხვი, მეგობრისათვის თავდადებული, მკვირცხლი, გონება მახვილი, ოხუნჯი და ენაწყლიანი, მხოლოდ ერთი რამ ნაკლულევანება მოსდევდა იმერლის, თუ კი ჩაითვლება ეს ნაკლულევანებად და ისიც იმის მეტის-მეტ ზრდილობისა და თავაზიანობის შედეგი იყო: ცუდს კაცს პირში არ უძაგებდა საქციელს და პირად განწყობილებაში არ ამჩნევინებდა რამე ცვლილებას, მაგრამ თუ რამე საზოგადო საქმეში გაერეოდა ამ ნაირი კაცი, განსვენებული უთუოთ მისი მოწინააღმდეგე იქნებოდა. ჩვენის აზრით, განსვენებულის ანტონის ხასიათი ამ ნაირად გამოიხატება: ცხოვრებას ნუ დაეჩაგვრინები და სიცხადით სძლიე მის დამაბრკოლებელნი გარემოებანი... პირიდად ნურავის აწყენინებ და საზოგადო საქმეში-კი ნურავის შეეპუები“.

აი ეს თვისებანი იყო მიზეზი, რომ დიდძალი ხალხი განთიადისას (ძილმოუთავებელი) შეეგება 26 ოქტომბერს განსვენებულის გვამს ქუთაისის რკინის გზის სადგურზე და მიაცილა მისის ძმის სახლამდის, და მეორე დღეს აუარებელმა ხალხმა, სუსხიან და წვიმიან ტ როლის მიუხედავად, გამოასვენა ისევ და წმ. გიორგის ეკკლესიამდის მიაცილა. იქ, გორაზედ, თვით ეკკლესიაში, სადაც განისვენებს მისი საყვარელი მეუღლე, დაკრძალეს მისი გვამი. გზაში, ტაძრის წინ, სადაც წესი უნდა აეგოთ განსვენებულისათვის, ბ-ნმა სილოვანმა წაიკითხა გრძნობით სავსე ლექსი და თვით დასაფლავების დროს წმ. გიორგის ეკკლესიაში ჩინებული სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ლოლუამ *).

კ. ბ—ძე

## კორესპონდენცია

**ს. ნორიო.** 30 ოქტომბერი. მიიწურა ოქტომბერი და წვიმებმაც გვიხშირა. ღვთის მადლით, მოსავალს კარგი პირი უჩანს; სწორედ თვალს წასტაცებს ადამიანს, იმისთანა ჯეჯილებია. იმედია, წრევანდელს მოსავალს არაფრით ჩამორჩება, თუ, ზამთარმაც ხელი შეუწყო და ყინვებმა არ წაახდინა. 29 ოქტომბერს იალოს მთები მეორედ ჩამოთოვლა; ეხლა-კი ზამთრის სუსხი დატრიალდება, ეჭვი არ არის, და გაუჭირდება გლეხობას ტფილისში სიარული. გაუჭირდება მეთქი, იმიტომ ვამბობთ, რომ ნორიოს საზაფხულო გზა თითქმის სამი აქვს: გზა მოკლედ მომჰრელიოლგინსკის ახალ-შენზედ, გზა ორხევისა-ძველი და გაუკეთებელი დ გზა ახლად გაყვანილი ქვით მოფენილი. საზამთრო სასიარულო გზა-კი ერთი აქვს ამორჩეული — ორხევისა. ეს გზა, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, გაუკეთებელი და ძველია, ამასთანაც თიხნარს ნიადაგზედ გადის, რის გამოც თოვლ-ჭყაპსა და წვიმებში სიარული მეტად გაძნელებულია.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ გზა სიმოკლევის გულისთვის ბევრგან აღმართებსა სჭრის, და ადვილათ წარმოიდგენთ, რა გაჭირვებაში არიან გლეხები: გლეხს, რომელსაც ულელ საქონლის მეტი არა ჰყავს, და რომელიც თავისს მცირე ნაწარმოებს ტფილისში ეზიდება გასასყიდად, მთელი შვიდი რვა საათი სჭირდება ორხევამდის ჩამოსასვლელად (15 ვერსია), და მერე ისიც რა წვალებით? საბრალო გლეხი ხშირად იძულებულია რამდენიმე საათი იცადოს, ვიდრე მიეშველებოდეს ვინმე საქონლით, და აღმართის გავლას უშველიდეს; ასეთის წვალებით მოგზაურობს გლეხი ნორიოდგან ტფილისს, მაშინ როდესაც ნორიოს მესამე გზაცა აქვს, რომელიც ზამთრის სუსხიან და ნამქრიან დროს გააკეთა გლეხობამ. სწორედ საცოდავობის იყო ეს გზა, მაგრამ გლეხის ქედმა აქაც არ უღალატა თავისს მწარე ბედს და თითქმის ნახევარი ქვიშა-ქვა ზურგით მოზიდა უსაქონლო უმრავლესობამ. გაზაფხულ ზედვე მზად იყო გზა, მაგრამ...

პირველ ხანზე, მართალია უშლიდნენ თურმე ამ გზით სიარულს, ვიდრე ქვიშა-ქვა რიგიანად დაჯდებაო, მაგრამ შემდეგ რაღა იყო მიზეზი, ეს ცოტა გამოურკვეველია. მიზეზი უფრო ის უნდა იყოს, რომ ეს ნაკეთები გზა შედარებით შორს უვლის, ვიდრე მეორე ძველი უკეთებელი გზა ორხევზედვე. ზაფხულში გლეხობა არც ივლის ამ გზით, მაგრამ ზამთარში-კი სწორედ ცის მანანაა... ურემს ამისთანა ნაკეთებ გზაზედ ოცის ვერსის გავლა ურჩევნია იმ წვალებასა და გაჭირვებას, რომელიც აუცილებლად შეჰხვდება ხოლმე გლეხს. და ის-კი მაინც არ ჰბედავს ნაკეთებ გზით სიარულს. ეხლა ომ აღკრძალული აღარა აქვთო, გვეპასუხებენ! მართალია, მაგრამ ამ გზით ჯერ არავის ულია და ამის მიზეზით სიარული ჯერ-ჯერობით გაძნელებული იქმნება; აი, რას ერიდება გლეხობა. მაშინ როდესაც შეიძლებოდა, ზაფხულშივე დაევალებინათ ძველის გზით მავალთათვის, ახალის გზით სვლა, და მით გაეადვილებინათ ზამთრის გაჭირვება.

უცნაური საქმე დაემართათ ნორიელებს: გზა გააკეთებინეს რის ვაივაგლახით და ამ გზით-კი არავინ სარგებლობს. სწორედ რომ მართალი სთქვა ამას წინად ერთმა მაზრის მოხელემ: „ამ გზას ხალხი ფეხს აღარ აკარებს, ნიადაგი ნებივრდება, სხვა-და-სხვა მცენარეები თავისუფლად იზრდება დღეს იქ და იმედია მალე ეს გზა ტყედ გარდაიქცევაო“. და ამავე მოხელემ დაგვარწმუნა დაბეჯითებით, ამ გზით სიარული აღკრძალული სულაც არ არისო. მაშ თუ ასეა, გვიკვირს, რისათვის ინახავენ და ფოსტის ეტლებს მაინც არის არ ავალებენ ამ გზით სიარულს?...

დროებით ნორიელი

## უცხოეთის წვრილი ამბავი

საფრანგეთის დეპუტატმა შლანიონმა პარლამენტს საერთო თხოვნა მიართვა, რომელზედაც მრავალთ უწერიათ ხელი. ეს თხოვნა იმას შეეხება, რომ ან აღკრძალეთ კარსეთის ტარება, ან არა-და გარდასახადი მაინც დადეთ ამ მავნებელს ნივთს ქალების მორთულობასასაო. ამის გამო პარიზის ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენელნი შეეკითხნენ სხვა-და-სხვა გამოჩენილს მკურნალებს, რომელთაგანაც ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი პასუხი მიიღეს. ერთნი (მაგალითებრ, დუჟარდენ-ბომეც) ამტკიცებენ, რომ კარსეთი მარგებელიცაა, თუ კარგად არის გაკეთებული და ძალიან მაგრად არა აქვს მოჭერილიო. მეორენი აღიარებენ, რომ კარსეთი ყოვლად მავნებელიაო.

საყურადღებოა აქვე აღვნიშნოთ, რომ პარიზში კარსეთებს 98 ქარხანა და 480 კერძო ხალხნი აკეთებენ. ყოველ წლივ 80 მილიონამდის კარსეთი იყიდება საფრანგეთის ქარხნების გაკეთებული და მილიონამდე გერმანიის კარსეთი, თორმეტი ცალი ჰღირს 9 მან.-დგან 150-მანეთამდე, თითო 12 მან. 120 მანეთამდე. მაშასადამე კარსეთებზედ რომ გარდასახადი იქმნას დადებული, სახელმწიფო ხაზინას საკმაო შემოსავალი ექმნება.

## დეპეშა

1 ნოემბერი

**მოსკოვი.** გუშინ ხელმწიფე გამობრძანდა. 9 საათზე დიდის კრემლის გიორგის დარბაზში შეიკრიბნენ ყველა წოდებანი. ხელმწიფე იმპერატორმა რამდენიმე მოწყალების სიტყვა უბრძანა ქალაქის მოურავს და მადლობა გადაუხადა მოსკოვს თანაგრძნობისათვის. 10 საათზედ იმპერატორის გვარეულობა წაბრძანდა სასახლიდგან მთავარ-ანგელოზის ტაძარში. შემდეგ ლოცვა გადაიხადეს მიცვალებულისათვის და გაასვენეს ნიკოლოზის ვოკზალზედ გვამი განსვენებულის ხელმწიფისა. კორტეჟი დაიძრა თანახმად ცერემონიალისა. თავში მიდიოდა პირველი ლეიბ გრენადერის მისის უდიდებულესობის პოლკისა, რომელიც სტანციაზე მივიდა თუ არა, დაირაზმა იმ ალაგას, სადაც სამგლოვიარო მატარებელი იყო დამდგარი. სამგლოვიარო ეტლის მარცხნივ იდგნენ გენერლები: გალლი და სტალიპონი, მარჯვნივ თავადი იმერეთინსკი და მუსინ-პუშკინი. ბალიშებზე დაწყობილი ორდენები შეტანილ იქმნა სამგლოვიარო ვაგონში. კუბო ჩამოიღეს ეტლიდგან სასახლის გრენადერებმა და ბაქანზედ აიტანეს, სადაც მიტროპოლიტმა სერგიმ ეკკლესიის სამღვდელოებითურთ გადაიხადა ლოცვა მიცვალებულთათვის, რის შემდეგაც კუბო ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავრებმა სამგლოვიარო ვაგონში შეასვენეს, ამ მატარებლით გარდა დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძისა, მიხეილ ნიკოლოზის ძისა და პრინცის ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგისა, წაბრძანდნენ ყველა ავგუსტოესნი გვამნი 12 საათსა და 5 წამს პეტერბურგს. ჯარმა ამდროს თოფ-ზარბაზანი დასცალა. სამგლოვიარო მატარებელს გაჰყვა მატარებელი ამალისა სამეფო სამკაულებითა და სამეფო ნიშნებით. 2 საათზედ წავიდა მატარებელი, სადაც ბრძანდებოდნენ სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლით, მიხეილ ნიკოლოზის ძე და პრინცი ალექსანდრე ოლდენბერგისა თავიანთის ამალით.


## განცხადებანი

**ცხოვრება**

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ სნეულებანი: შინაგანი, ბავშვების და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,— $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ზ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

გ. ი. ფრანცუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—24)

С.ПЕТЕРБУРГСКОЙ ТЕХНО-ХИМИЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРІИ.

დუხი „საფო“

დუხი „ნევას „კაპრიზი“

დუხი „თეთრი მიუსკი“

ძალიან გამძლე და სასიამოვნო.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.

Гл. складъ: С.П Б. Александр. площ. 9

МОСКВА, Никольская, д. Шереметева

ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—4—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

**ოსანა მკითხავი**

მოთხრობა

თავ. ივანე ციციშვილისა

ფასი 15 კაპ.


---

*) ამ სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ.

რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 1 го Ноября 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.ხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.